„გაბრაზდეს ვიცი გორიცა ცაზე!“

გვარი და ტრადიცია

11 (37)

ნოემბერი 2016 წ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“
სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი

ქრისტიანის წოდება და მოვალეობანი

ქრისტიანს არა მხოლოდ აღმსარებლობა, არამედ რწმენა და რწმენის შესაფერისი ზნეობა აქცევს ჭეშმარიტ ქრისტიანად (წმიდა ტიხონ ზადონელი).

შეუძლებელია, იყო ქრისტიანი, თუ არა ცხოვრობ ქრისტიანულად.

ის, ვინც ჭეშმარიტად ქრისტიანულად არ ცხოვრობს, ზნეობრივი კერთპათაყვანისმცემლობის მდგომარეობაში იმყოფება. ის ან ქმნილებათა მსხვერპლია, უფლის ნაცვლად სიმდიდრეს ემსახურება, მუცელს აღმერთებს, ან პირიქით, – საკუთარ თავს აყენებს კერპად და მსხვერპლად მოითხოვს ყველაფერს, რაც კი ამქვეყნად შობილა.

ქრისტიანული სახელი ქრისტიანული ცხოვრების გარეშე მლიქვნელობაა (წმიდა ტიხონ ზადონელი).

რა ბედნიერნი ვიქნებოდით, ძვირფასთ მსმენელნო, ყველა ჩვენგანი წმ. ევსტათივით გულმოდგინებით და ხალისით რომ ვეტანებოდეთ ჩვენი ღვთაებრივი სარწმუნოების მოძღვრების ცოდნას! მაგრამ ვინ თქვა ჩვენში ასეთი ხალისი! დიდს უმრავლესობას სრულებით არავითარი ცოდნა არა აქვს სახარებისა და არც დაეძებს, რომ ოდესმე მაინც გაეცნოს მას; ბევრს, თუ ყური მოუკრავს სადმე ქრისტეს ორი–სამი იგავისათვის, ეკლესიაშიც აღარ სურს მოსვლა, – იმაზე მეტს ვეღარ გავიგონებ, რაც უკვე ვიცით (ეპ. ლეონიდე ოქრობირიძე)!

ქრისტიანო! იყავი ნამდვილი და არა მოჩვენებითი ქრისტიანი. აი, შენი ერთ–ერთი კანონი.

როგორც იუდა, რომელსაც ბოროტი აზრები, განზრახვები დამიზნები ჰქონდა, მოციქულის სახელმა ვერ დაიცვა მარადიული სასჯელისაგან, ასევე ჩვენ ქრისტიანის სახელი ვერ გამოგვისყიდის მსგავსი სასჯელისაგან, თუკი ცხოვრებას ქრისტეს სჯულის შესაბამისად არ წარვმართავთ.

მაღალია ქრისტიანის წოდება: ბევრი უნდა იშრომო, რომ აღასრულო იგი.

ქრისტიანი, რომელიც ქრისტიანობაში ვერ წარემატება, ქრისტიანი არ არის.

ქრისტიანი არ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ იგი მოკვდა კერპთაყვანისმცემლობისათვის, ამა ქვეყნის ხმაურისათვის, მცოვრებისათვის, სიამაყისთვის და სხვ. ვისაც სურს, ძველი სამყაროდან ახალში გაცუროს, მისთვის საკმარისი არაა, ავიდეს ხომალდზე და გეზი ახალი სამყაროსაკენ აიღოს. არამედ მან განუწყვეტლივ უნდა იცუროს წინ, ვიდრე მართლაც არ მიაღწევს იმ ადგილს. სწორედ ასევე ხდება ძველ და ახალ ცხოვრებაშიც. თუკი ძველი ადამიანის გარეგნული ცხოვრება საჭიროებისამებრ განიწმიდა, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ სრულიად შევიმოსოთ ახალი ადამიანი, სრულიად განვიწმიდოთ და გავნათლდეთ სულის შინაგან სიღრმეში. (წმ. ტიხონ ზადონელი).

როგორ დადგინდა შობის მარხვა

27 ნოემბერი – 6 იანვარი

შობის მარხვა, ისევე როგორც სხვა მარხვები დადგინდა ქრისტიანობის უძველეს პერიოდში. უკვე IV საუკუნიდან წმ. ამბროსი მიდიოლანელი, ნეტარი ავგუსტინე და სხვები თავიანთ შრომებში ტომებში მოიხსენიებენ საშობაო მარხვას. V საუკუნეში ამ მარხვას ძველი წარმომავლობის შესახებ მიუთითებდა ლევ დიდიც. ქრისტიანობის საწყისებში შობის მარხვა ზოგან შვიდი დღე გრძელდებოდა, ზოგან უფრო ხანგრძლივად, 1166 წ. კონსტანტინეპოლელი პატრიარქის ლუკას და იმპერატორ მანუელის დროს დადგინდა, რომ მარხვა უნდა დაწყებულიყო შობის დღესასწაულამდე 40 დღით ადრე ანტიოქიის პატრიარქი თეოდორე IV ბალსამონი წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ მარხვის ეს დღეები (მიძინებისა და შობისა) არ არის წესით განსაზღვრული, მაინც აუცილებელია მივსდიოთ საეკლესიო გარდამოცემას და ვიმარხულოთ... ნოემბრის მე–15 (ახ. სტ. 28–ე) დღიდან.

შობის მარხვა ზამთრის პერიოდს ემთხვევა და ის ემსახურება წლის ბოლო პერიოდი სგანწმენდას.

ლევ დიდიწერს: მარხვა წელიწადის ოთხივე დროს ემთხვევა, რათა მთელი წლის მანძილზე შევიცნოთ, რომ შეუწყვეტლად გვჭირდება განწმენდა და რომ ამ გაბნეულ და არეულ ცხოვრებაში ვეცადოთ – მარხვითა და მოწყალებით გავექცეთ ცოდვას, რომელიც სხეულის ხრწნილებასა და სურვილთა არაწმინდებას ზრდის.

ლევ დიდის სიტყვებით, შობის მარხვა არის შესაწირავი ღვთისათვის – ნაყოფის მშვიდობით მოწევისა და დაბინავებისათვის. ის ამბობს: „როგორც უფალმა გამოიჩინა წყალობა და მოგვანიჭა მიწის ნაყოფი, ასევე ჩვენს ამ მარხვის დროს, მოწყალება უნდა გამოვიჩინოთ გაჭირვებულთა მიმართ”.

დაჩი თხინვალელი

საინფორმაციო ქრონიკა

– 2016 წლის 7 ნოემბერს წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში შედგა გვარების წინამძღოლების შეკრება.

გაიმართა ფილმის ,,გადავარჩინოთ ჩვენი ეროვნული საუნჯე“ ჩვენება. ეს ფილმი არის ერთობლივი ნამუშევარი საქართველოს საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“, ბოტანიკის ინსტიტუტის და შავნაბადის მონასტერთან ერთად.

შემდეგ გაიმართა ახალი წიგნის ,,პური ჩვენი არსობისა“ პრეზენტაცია. მოხსენება გააკეთა საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის თავმჯდომარემ, წიგნის ერთ-ერთმა ავტორმა ბატონ ლევან ფრუიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ: თენგიზ მაისურაძე, ვაჟა ნადირაშვილი, ნიაზ ბოლქვაძე, მიხეილ კვირკველია, ზაზა სუდაძე. მათ მაღალი შეფასება მისცეს ამ წიგნს, აგრეთვე ისაუბრეს მათ საგვარეულო კავშირებში და რეგიონებში მიმდინარე საჭირბოროტო საკითხებზე.

– ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საპატრიარქო ტელევიზია ,,ერთსულოვნებაში“ შუადღის პროგრამაში ტარდება გადაცემა გვარების წინამძღოლთა მონაწილეობით.

24 ნოემბერს მოეწყო შემაჯამებელი გადაცემა. გადაცემაში მონაწილეობდნენ: საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის თავმჯდომარე ლევან ფრუიძე, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები ვაჟა ნადირაშვილი და თენგიზ მაისურაძე, გამგეობის წევრი მარატ კიტოვანი.

მეფე ერეკლე მეორეს დაბადების დღე

7 ნოემბერს სვეტიცხოველში დილის 10 საათზე ერეკლე II-ის დაბადების დღესთან დაკავშირებით გადახდილი იქნა პანაშვიდი.

ესწრებოდნენ ერეკლე II-ის შთამომავლები სამეფო სახლის მეთაური ბატონიშვილი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი, მისი ქალიშვილი ანა, სამეფო სახლის კანცლერი ბატონი კახა ქორიძე, პარლამენტის წევრი ირაკლი სესიაშვილი, დელეგაცია თელავიდან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გია გიგიაშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს საგვარეულოთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ლევან ფრუიძე, გამგეობის წევრები ვაჟა ნადირაშვილი, თენგიზ მაისურაძე, ნინო სულამანიძე, მერაბ ლეკვეიშვილი, მარატ კიტოვანი, გვარების წინამძღოლები ფრიდონ ლოლაძე, თამაზ ჩიხლაძე.

ლოდი

შენ დამესიზმრე წუხელის ისევ
გზა სჯურისკენ ხელმარჯვნივ უხვევს,
მეფერებოდა ნისვი მთისა
და ძმანთფიცებს ვკოცნიდი მუხებს.

ეზოში ქათმებს უყრიდი ხორბალს,
მზეზე ელვანენ ჩხირები წინლის,
დრო აბრუნებდა ცხოვრების ბორბალს
მე ვფიცულობდი სახელს და სინდისს.

შორი ბავშვობა დაბრუნდა თითქოს,
ვინ იცის იქნებ არც ღირდეს შეყრად,
რისთვის მოვედი ვინმემ რომ მკითხოს
თუნდ ამ სიზმრისთვის ცადა და ქვეყნად.

ნარგიზ ტურძილაძე

ისინი მალე დაბრუნდებიან

ისინი, ყოველწელს სტუმრობენ საქართველოს, მომავალ წელს კი სულ დაუბრუნდებიან თავიანთ საკუთარ სამშობლოს, რომელსაც ვერასოდეს გაცვლიან: „სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

გასულ წელს, მზია ბეკურაშვილმა აქ ყოფნის დროს შეიტყო, რომ ჩვენი პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, გვარებს ლოცავდა. მცირე დროის მიუხედავად, მან შეძლო ის, რაც ვერ შეძლეს აქ მცხოვრებმა მისმა მოგვარეებმა. თავი მოუყარა ბეკურაშვილებს და დაალოცინა მისი გვარი სამების საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

ისინი, მომავალ წელს დაბრუნდებიან. დაბრუნდებიან პირ-

ამ ოთხიოდე თვის წინ პრესა და ინტერნეტსივრცე დაიპყრო ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ ჩვენი დროის გენიოსი მწერლის, გოდერძი ჩოხელის ვაჟს, ნიკოლოზ ჩოხელს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო დასჭირდა საზღვარგარეთ მკურნალობა, რაც გარკვეულ თანხებთან იყო დაკავშირებული.

არნახული თანადგომა გამოიჩინა ჩვენმა საზოგადოებამ. გამართეს საქველმოქმედო მარათონი, რომელშიც მთელი საქართველო მონაწილეობდა. შედეგი – დღესაც ნიკოლოზ ჩოხელი ავსტრიის ერთ–ერთ პრესტიჟულ საავადმყოფოში გადის რეაბილიტაციის კურსს.

ამაყი ვარ, რომ ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ამერიკაში მყოფ, ჩემს ქართველ მეგობრებს. ტრიო „მაგნოლიას“ წევრებს მზია ბეკურაშვილს, ზაირა ჩოხელსა და მანანა ჩიტაურს. მათი ინიციატივითა და კომპანია „dancind crane„–სთან არსებული ქართული ცენტრის ხელმძღვანელების ამერიკელი ვიქტორ სირელსონისა და მისი ქართველი მეუღლის ლია ბახტურიძის მოწადინებით ამერიკაში მცხოვრებმა, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებმა, მსახიობებმა, პოეტებმა, მოცეკვეებმა ნიკოლოზ ჩოხელის დასახმარებლად გამართეს საქველმოქმედო კონცერტი და საკმაოდ სოლიდური თანხა გადმორიცხეს ნიკოლოზის დასახმარებლად გახსნილ ანგარიშზე.

არ არის ასე იოლი ამის გაკეთება უცხო მიწაზე, მით უფრო, ამერიკის სხვადასხვა შტატებში გაბნეული ქართველების თავშეყრა, მაგრამ მათ ეს შეძლეს იმ სიყვარულის გამო, რომელიც მომეტებულადაც კი აქვთ თავიანთი სამშობლოსა და თავიანთი თანამოძმეების მიმართ დროებით, მიზეზთა გამო, სამშობლოს მოშორებულ ემიგრანტებს.

გოდერძი ჩოხელის მეუღლემ, ქალბატონმა ნინო მელაშვილმა, ოჯახის სახელით მადლობა გადაუხადა მათ. მე კი მინდა, კონცერტში მონაწილე, თითოეული ადამიანის სახელი და გვარი გაგაცნოთ. ისინი ამას იმსახურებენ.

საქველმოქმედო კონცერტს უძღვებოდა, ჩვენთვის კარგად ცნობილი ცუცა კაპანაძე. მონაწილეობდნენ: მზია ბეკურაშვილი, ზაირა ჩოხელი, მანანა ჩიტაური, დავით ამბროსიძე, თენგიზ შაუთიძე, ბექა გოგინაშვილი, გიორგი იოსელიანი, მალხაზ მანგოშვილი, ოთარ გიგოლაშვილი, ირმა დვალიშვილი, დავით გოდერიძე, თამაზ მარღიშვილი, ანი და კახი ბეგიაშვილები, ნინო ღარიბაშვილი, ნანა მეფარიშვილი, ანსამბლი „ზეკარი“, კიდევ ერთხელ მადლობა მათ.

ახლა ისევ ჩემი მეგობრების შესახებ.

სამივე მღერის, ასე შეიქმნა ტრიო „მაგნოლია“ ამერიკაში, ზაირა ჩოხელი ამასთანავე, რადმენიმე სიმღერის ავტორიცაა. ამერიკაში წავლამდე გალობდნენ სიონის ეკლესიაში, მერე,

ცნობილ მომღერალმა დედა თათარაიძემ, მათთან ერთად შექმნა ტრიო „ჰანგი“, რომელთა მიერ მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული ქართული ხალხური სიმღერები შეიყვარა ქართველმა მუსიკის მოყვარულებმა, მათ მიერ შესრულებული სიმღერები დაცულია საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდში“, „ჰანგს“, აღფრთოვანებული უკრავდა ტაშს უცხოელი მაყურებელიც, საფრანგეთში, გერმანიაში.

მერე იყო ამერიკა, სადაც წლებია შემორჩნენ. ზემოთ, ერთი მომენტი გავიხსენე, თანამოძმის თანადგომისა, ასეთი უამრავი მაგალითია მათ ცხოვრებაში, რომელზეც საუბარი და ხმაური არ უყვართ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თანადგომა და ქველმოქმედება მზიას, მანანას და ზაირას თავიან მთავარ მოვალეობად მიაჩნიათ.

ნათელნი თავიანთ ქვეყანასთან, შორს, ოკეანესგაღმა რომ გაუთქვეს სახელი ჩვენს მრავალხმიან, მელოდიურ ქართულ ხალხურ თუ საესტრადო სიმღერებს. დაბრუნდებიან პირნათელნი იმ ადამიანებთან, იმ ოჯახებთან, მათი თანადგომით ბევრ გასაჭირს, რომ გაუძლეს, შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთეს იმისათვის, რომ გულში ჩაიკრას დროებით მიტოვებულმა საფიცარმა სამშობლომ.

ნუნუ გრძელიშვილი
ჟურნალისტი

ქალბატონები – მზია ბეკურაშვილი, ზაირა ჩოხელი და მანანა ჩიტაური – საქართველოს საგვარეულოთა კავშირმა „გვარი და გვარიშვილობამ“, მათ მიერ გაწეული საქველმოქმედო საქმიანობებისათვის, დააჯილდოვა საპატიო სიგელებით.

არდოტის პირველმოსახლეთა ვინაობა

2015 წლის აპრილის გაზეთ „გვარი და ტრადიციის“ მე-4 ნომერში დაიბეჭდა სამოელ ზვიადაურის წერილი სათაურით „სოფელ არდოტის მაცხოვრებელთა წარმომავლობა“, რომელშიც,რომ არაფერი ვთქვათ სტილურ, ენობრივ და კორექტურულ ლაფსუსებზე, გვხვდება მრავალი სახის ფაქტობრივი შეცდომები და უზუსტობანი. კერძოდ, წერილის ავტორი დიდი პათოსით აკრიტიკებს ნოკოლოზ (მურღვა) არდოტელს (იმხანად დედის გვარის - ზვიადაურის მატარებელს), რომელმაც 1987 წელს მურღვათა გენეზისის შესახებ როლანდ თოფჩიშვილისეული მცდარი მოსაზრება სამართლიანად უგულებელყო (იხ. გაზ. „კომუნიზმის გზა“, №100, №101).

საქმეში ჩაუხედავ მკითხველს უნდა ვაუწყოთ, რომ ეს კამათი ნოკოლოზ არდოტელს არ წამოუწყია, ამ სამეცნიერო პაექრობის წინაისტორია ასეთი იყო. 1987 წელს რ. თოფჩიშვილმა ერთ-ერთ სამეცნიერო კრებულში („ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები“,1987, გვ.57) გამოაქვეყნა სტატია ხევსურული გვარების შესახებ, რომელშიც მურღვანი (მურღული, მურღუევი) სრულიად უსაფუძვლოდ და დაუდევრად გამოცხადებულნი არიან ლეკებად (მართალია, როლანდ თოფჩიშვილმა ამ მძიმე შეცდომის გამო ბოდიში მოიხადა, თუმცა ამ კვაზიმეცნიერულმა „ნააზრევმა“ ბევრ ავისმოსურნესა და არამკითხე მოამბეს საღერღელი აუშალა). კერძოდ, რ. თოფჩიშვილი დაეყრდნო თავისი მთხრობლის, ბაბუტა ზვიადაურის (ტენდენციურად განწყობილი „კურეტათ ბაბუტას„) მტკნარ სიცრუეს, თითქოსდა მურღვათ წინაპარი მათ მოეყვანოთ ტყვედ და მურღვანიც ამ კაცისგან გამრავლებულიყვნენ. ამაზე ითქმის: „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო“.მურღვათა ლეკური წარმომავლობის ვერსია სათანადო დასაბუთებით ჩვენს მიერ უკუგდებულია და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ (იხ. ნ. არდოტელი, ქართველური ონომასტიკა, I. თბილისი, 1998, გვ. 67-69).

ამთავითვე კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ სოფელი არდოტი ეკუთვნის როგორც მურღვათ, ისე ზვიადაურთ, ვინაიდან მათ აქვთ საუკუნეობით თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია, კეთილმეზობლური და მჭიდრო (როგორც ხევსურები იტყვიან, ცულით გაუეჩი) ნათესაობა. უსაფუძვლო დავა ამის თაობაზე ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეწყდეს. ეს ეხება იმ მურღვათ და ზვიადაურთ (ჭუკილნი, ქავთარნი, მგელათ ნაწილი), რომლებიც ბოლო დრომდე არდოტში მოსახლეობდნენ, ხოლო იმ პირებს, ვინც ანდაქარჭილოში გადავიდნენ და თავისი წილ-ნაწილი დედა-სოფლიდან – არდოტიდან გატანილი აქვთ, ხევსურული რჯულ-სამართლის მიხედვით, ტყის წვერთ ზემო ტერიტორიის, ჯვარ-ჯვრისკრისა და საფლავ-სამარის გარდა, აღარაფერი ეკუთვნით. პირადად ამ სტრიქონების ავტორს ცალი გვერდი მურღვათა აქვს, ხოლო მეორე - ზვიადაურთა (მგელათა) და, ცხადია, არაობიექტურობისგან შორს დგას. მას მამიდაშვილი და დედიძმიშვილი ზვიადაურები ბევრ ახლობელს ურჩევნია, მაგრამ ისტორიის გაყალბება არავის მიეტევება. გარდა ამისა, გვარ-სახელებს მეცნიერულად სწავლობენ ენათმეცნიერები და ისტორიკოს-ეთნოლოგები. არაიშვიათად ამ დარგებში გაუთვითცნობიერებელ ავტორებს ნებსით თუ უნებლიედ მოსდით შეცდომები ან განზრახ აყალბებენ ისტორიას, რაც შეუწყნარებელია. პირდაპირ განცვიფრებას იწვევს სამოელ ზვიადაურის სათანადო არგუმენტაციას მოკლებული „მტკიცებულებანი“ ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა არდოტის პირველმოსახლენი და მათი რწმენა-წარმოდგენები, მურღვათა და ზვიადაურთა გვარების გენეალოგია და ა. შ. სხვადასხვა არქივებში დაცული იმ ზღვა ეთნოგრაფიულ-ენათმეცნიერული მასალიდან, რაც არსებობს, ზოგადად, ხევსურეთის, კონკრეტულად კი, არდოტის მკვიდრთა შესახებ სამოელ ზვიადაური არაფერს იმოწმებს და ასე ზედაპირულად აყალიბებს შორსმიმავალ დასკვნებს, რომელთა გაზიარება შეუძლებელია. ისტორიის გაყალბება კი ამძაფრებს ურთიერთობებს და არაკომპენენტურობა არც კეთილმოსურნე მოპაექრეს მიეტევება, მით უფრო სასულიერო პირს, ჩვენს სისხლსა და ხორცს - დეკანოზ სამოელ ზვიადაურს.

შევეცდები ზემოხსენებულ ზოგ საკითხზე მოკლედ გამოვთქვა ჩემი თვალსაზრისი, ვინაიდან საგაზეთო წერილში ყველა პრობლემის დეტალური ანალიზი და მათი სათანადო მეცნიერულ დონეზე გადაჭრა შეუძლებელია, იგი მონოგრაფიულად კვლევის საგანია, რისი განხორციელება ახლო მომავალში ივარაუდება.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის უქონლობის პირობებში სოფლის პირველმოსახლეთა ვინაობის გასარკვევად მნიშვნელოვანია არა სათიბ-სახნავი მამულები, რომლებიც ხელიდან ხელში ყიდვა-გაყიდვით გადადიოდა, არამედ სოფლის განსახლების სტრუქტურა და ამ სტრუქტურაში მის მცხოვრებთა ადგილმდებარეობა. გარდა ამისა, სხვა მასალის არსებობის პირობებში სოფლის დასახლებისა და მის პირველმოსახლეთა ვინაობის გასარკვევად ფასეულია გადმოცემები, რომლებშიც ასახულია დასახლების ისტორია. არდოტში კი ცენტრალური (ქავის, საფიხვნოსა და ჯვარ-ჯვრისკრის მიმდებარე) უბნები უწინაც მურღვათ ეჭირათ და ამჟამადაც მათ უკავიათ. ანალოგიური ვითარებაა საზამთრო სამყოფელში – ბახაოში. ისტორიულად სოფლის შაღმათა მხარე სალუქაურთ უბანს წარმოადგენდა, ცენტრალური კი – გორის ჩასწვრივ ციხიანი და მიმდებარე ადგილი მურღვათ მამიშვილობის ჩიტათა (ჩიტაშვილები) და თორღვათ (თორღვაშვილები) სამკვიდრებელი იყო. მურღვანი გვიან მოსულები რომ ყოფილიყვნენ, როგორც ამას სამოელ ზვიადაური ფიქრობს, მაშინ მათ განაპირა ადგილები უნდა სჭეროდათ. საქმე ის არის, რომ არდოტში, როგორც ამას არაერთი გადმოცემა გვამცნობს, თავდაპირველად გუდანიდან წამოსული ჩვენი წინაპარი ჭინჭარაული გიორგი (მურღვა) მისულა სომხოს გორზე, სადაც ქისტებს არ მიუშვიათ. შემდეგ გადმოუნაცვლებია ციხიათან, საიდანაც ქავში ასულა.

რაც შეეხება ზვიადაურთა გვარის პირველმოსახლეთ, ისინი ჯერ სოფელთგორაზე დასახლებულან, მოგვიანებით კი, სალუქაურებთან დანათესავების შემდეგ (სალუქაურთ ქალი მიუთხოვებიათ), დღევანდელი განსახლების სტრუქტურიდან გამომდინარე, სოფლის იმავე კიდეზე დასახლებულან, საითაც სოფელთგორაა. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ მათივე წინაპრების ორიოდე მონათხრობი: „ძველი ჩვენი გვარი გიგაურია, შინაური გვარი მამად – ზვიადაური. მცხეთელები ვართ, იქიდან მოსულები ვართ და მერე ბლოელ გიგაურებს შავეყარეთ. არ-ქვაბით შაყრილები ვართ... მანგი რქმევია ჩვენ პაპას. იქიდან რომ წამოსულა, სამგან მდგარა ფშავ-ხევსურეთის არაგვზე. მერე შამოუვლავ და მუქოს დამდგარა, მათურასთანა. მერე იქიდან წამოსულა, არდოტთან ახლოს მოსულა და სოფლის გორში დამდგარა, რადგან არდოტში ადგილი არ ყოფილა...“ (ბაისერ ზვიადაური, არდოტი, 1938, რ. ხარაძის არქ.). ანდა: „ზვიედაურთ მამა-პაპა პირველად მცხეთით წამასულ და დამდგარ მუქუს. იმის შვილებს ხქვივნები ერთს გიგა (გიგაურნი), მეორეს – წოწკა (წოწკოლაურნი), მესამეს – ზვიედა (ზვიედაურნი).

ზვიედა წამასულ არდოტ და დასახლებულ სოფელთგორაზე. სოფელში არ მიუშვავ მურღვათ. მურღვათ რო იზარალეს (ჟამიანობისას - ნ. ა.), მერე გასულ ზვიედა სოფელთგორზეით არდოტში“ (თაძია ზვიადაური, არჭილო, 1983. იხ. ზ. კიკნაძე, ანდრეზები, თბილისი, 2009, გვ.122-123).

მაშასადამე, ამ გადმოცემებიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ ზვიადაურთა წინაპრის არდოტში გამოჩენის დროისთვის სოფელი დასახლებული იყო გუდანიდან გადმოსული ჭინჭარაულებით, რომელზედაც მომდინარეობენ მურღვანი (მურღულები) და რომელსაც დღესაც ატარებს ამ გვარის ერთი ნაწილი. დროთა ვითარებაში ჭინჭარაულებიდან მომდინარე მურღვანი, თავის მხრივ, დაიშალნენ და ჩამოყალიბდა ახალი გვარები: ჩიტაშვილი, თორღვაშვილი, მურღოშვილი, სალუქაური. რუსიფიკატორული პოლიტიკის ძლიერი ზეგავლენით მურღული გაფორმდა მურღუევად (შდრ. რაზიკაშვილი > რაზიკოვი, ბარნაველი > ბარნოვი...), რაც დღემდე შემორჩა ზოგ მათგანს და მრავალი უსიამოვნებაც მოუტანა. ამჟამად ისეთი შემთხვევებიც დასტურდება, როცა ღვიძლ ძმებს სხვადასხვა (ერთს – მურღუევი, მეორეს კი – არდოტელი) გვარი მოეპოვებათ და, დღევანდელი გამრუდებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, არ შეუძლიათ ერთ გვარზე დაეწერონ. ამჟამინდელმა კანონმდებლებმა ეგებ გაითვალისწინონ ასეთი სავალალო ვითარება და შეიმუშაონ უფრო მოქნილი კანონი, რომელიც ამ ნაკლს გამოასწორებდა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი,
პროფესორი ნოდარ არდოტელი

ქართული ღვინის ხარისხზე ზრუნვა

ნაწყვეტი კანდიდ ჩარკვიანის წიგნიდან „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები“

ქართული მევენახეობისა და მეღვინეობისადმი სტალინი მუდამ ინტერესს იჩენდა. ხშირად იტყოდა ხოლმე: ჩვენს ღვინოებს და კონიაკს მსოფლიოში ბადალი იშვიათად მოეპოვებაო. იმოწმებდა ცნობილ ფრანგ პროგრესულ მოღვაწეს პიერ კოტსაც, რომელსაც მასთან სტუმრობისას მოსწონებია კონიაკი „ენისელი“. ახლა საფრანგეთში კომერციამ ხარისხზე ზრუნვა ბევრს გადაავიწყა. იქ ერთი ბოთლი „ენისელისაგან“ ზოგიერთი ფირმა ორ ბოთლ კონიაკს გააკეთებდაო – უთქვამს პიერ კოტს. ასევე შეუქია მას ქართული სამარკო ღვინოები. სტალინს კოტის აზრი ანგარიშგასაწევად მიაჩნდა: მისი მამა მევენახე და მეღვინე ყოფილა და ბაზარზე თურმე მზა ღვინოებითა და კონიაკებით გამოდიოდა.

პიერ კოტს, სხვათა შორის, მეღვინეობასთან დაკავშირებული, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ–ეთნოგრაფიული დოქტრინაც ჰქონია შემუშავებული. სტალინი სიცილით იგონებდა კოტის მტკიცების იმის შესახებ, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის დეპარტამენტებიდან გამოსული ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეები გულახდილ, ხალისიან, ჰუმანურ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან და თითქმის გამოუკლებლივ ლიბერალები და პაციფისტები არიან.

–პუანკარიე–ომი კი იყო ნორმანდიდან, სადაც ვაზი არ ხარობს, – „დაუსაბუთებია“ თავისი დებულება ფრანგ სტუმარს.

მეხსიერებაში ჩამრჩა სტალინის ამ ინტერესთან დაკავშირებული მრავალი მომენტი.

ზემოთაც მითქვამს, სტალინმა საქმიანი მიღების შემდეგ სადილზე ან ვახშამზე მიპატიჟება იცოდა. სერობას პოლიტბიუროს წევრების დიდი ნაწილი ესწრებოდა. სტუმრებში ხშირად რომელიმე საოლქო კომიტეტის მდივანი ან მინისტრი ერია.

სტალინის აგარაკზე დიდად დახელოვნებული ქართველი კულინარი რთველაძე მუშაობა. ევროპულ, რუსულ და ქართულ სამზარეულოს ის ერთნაირად იყო დაუფლებული. რთველაძემ თავიდანვე აუღო ალღო სტალინის გემოვნებას და ზედმეტად რაფინირებულ საჭმელებს არ ამზადებდა. მაგიდაზე შემწვარი და მოხრაკული ხორცის კერძები სჭარბობდა. იყო შებოლილი და ახალი თევზი, სულგუნი, სხვადასხვა სახის ყველი, მწვანილი.

როცა მაგიდასთან მიგიწვევდნენ, მშრალი საჭმელი იქ უკვე ელაგა, იდგა ღვინო, კონიაკი, ხილის წყლები და ბორჯომი. ცხელი კერძები კი მომტან ქალს რიგრიგობით შემოჰქონდა და მეზობელ მაგიდაზე დგამდა. ამ მომენტიდან თვითმომსახურება იწყებოდა: სუფრის თითოეული მონაწილე წამოდგებოდა, სამარაგე მაგიდასთან მიდიოდა და რაც და რამდენიც სურდა, გადმოიღებდა. მაგალითს ამ მხრივ თვითონ მასპინძელი იძლეოდა.

კერძებიდან თავისებური წვნიანი დამამახსოვრდა. ის არც რუსული შჩისა და ბორშჩს ჰგავდა, არც ევროპულ ნაზ სუპებს. ეს იყო მოხარშული ახალგაზრდა პირუტყვის ძვალგამორჩეული ხორცი და კომბოსტო, მწვანილითა და სანელებლებით ზომიერად შეზავებული. კერძს „არაგვს“ ეძახდნენ, არ ვიცი მდინარის თუ ცნობილი მოსკოვური ქართული რესტორნის სახელწოდების გამოჯავრებით. კერძი იმდენად გემრიელი იყო, რომ ზოგი სტუმარი ორჯერაც გადაიღებდა ხოლმე.

სტალინის მაგიდაზე მხოლოდ ქართული სამარკო ღვინოები მოჰქონდათ, კონიაკიც მოყვარულთათვის აქ ქართული იყო. თვითონ სტალინი თითქმის ყოველთვის „თელიანს“ სვამდე, მაგრამ ცოტა–ცოტას, საარყე ჭიქით. იშვიათად მინახავს, რომ მას ღვინო ამ სასმელისათვის საყოველთაოდ განკუთვნილი ჭიქით დაელიოს.

ერთი ასეთი სადილის დროს სტალინი მოულოდნელად შემეკითხა:

–რატომ აღარ ჩანან ყვითელი კახური ღვინოები, ნუთუ საქართველოში შეწყდა მათი წარმოება და სულ ამ უფერული ღვინოების დაყენებაზე გადახვედით?

–მართლაც, სად არის ის მშვენიერი ღვინოები, – ჩაერია ლაპარაკში ა. ჟდანოვი, რომელიც ქართული ღვინოებისადმი საერთოდ გულგრილი არ იყო, – პირველი მსოფლიო ომის დროს თბილისში ჩვენი ოფიცრობა ყვითელ ღვინოებს სვამდა. რამდენადაც მახსოვს, იმ ღვინოს „კახეტიას“ ეძახდნენ.

–ამხანაგო სტალინ, – ვუპასუხე, – კახეთში გლეხური მეურნეობები თეთრი ყურძნისაგან მხოლოდ მოყვითალო ღვინოებს აყენებენ. ასევე სახელმწიფო მრეწველობაში გამოშვებული ღვინოების 80 პროცენტი მაინც მოყვითალო შეფერილობისაა. თქვენს მაგიდაზე და ოფიციალურ ბანკეტებზე ის ღვინოები არ ხვდება. ქართული მეღვინეობის გვირგვინი ევროპული წესით დაყენებული ღვინოებია. თეთრებიდან ეს არის „წინანდალი“, „გურჯაანი“, ხოლო წითლებიდან – „თელიანი“, „მუკუზანი“, „ყვარელი“. მასობრივი მომხმარებელი კახური წესით დაყენებულ ღვინოებსაც დიდად და, შეიძლება ითქვას, ზოგჯერ უფრო მეტადაც აფასებს, თუმცა ღირსებით ისინი სამარკოებს ჩამოუვარდებიან.

–მაინც რით განსხვავდება ევროპული ტექნოლოგია ქართულისაგან და რა აძლევს კახურ ღვინოს იმ ოქროსფერს? – შემეკითხა ისევ სტალინი, არ ვიცი, გამოსაცდელად (მან ამ მიზნითაც იცოდა კითხვების დასმა) თუ ნამდვილი ცნობისმოყვარეობით. მე კი ამ შეკითხვამ საბაბი მომცა მოკლედ დამეხასიათებინა ღვინის დაყენების ეს ორი წესი.

–ყველაფერი კარგია, – თქვა სტალინმა, – მაგრამ ევროპული ტიპის ღვინო რომ კახურად დაყენებულს ჯობდეს, ეს მაინც ვერ დაამტკიცეთ.

– ნება მომეცით, ამხანაგო სტალინ, მოგართვათ კახურად დაყენებული თეთრი ღვინის რამდენიმე ნიმუში, – ვუპასუხე, – თვითონ განსჯით, რამდენად მართალი ვარ.

როგორც კი დავბრუნდი საქართველოში, მოვამზადეთ კახურად დაყენებული თეთრი ღვინის სამი ნიმუშა: ორი სამტრესტის გამოშვებული, ერთიც კახეთში ღვინის დაყენებით განთქმული კოლმეურნისაგან ნაყიდი და გავგზავნეთ.

სამი–ოთხი თვის შემდეგ საქმეების გამო მოსკოვში ჩავედი. სტალინი აგარაკზე ვინახულე და ჩემი საკითხები მოვახსენე. შემდეგ ყველაფერი ტრადიციულად წარიმართა: პოლიტბიუროს იქ მყოფი რამდენიმე წევრი და მე ვახშამზე მიგვიპატიჟეს. ვახშამი დასასრულს უახლოვდებოდა, მასპინძელი კი გაგზავნილი ღვინის ნიმუშებზე არაფერს ამბობდა. მე მათი ბედი ძალიან მაინტერესებდა, მაგრამ შეკითხვის მიცემა უხერხულად მივიჩნიე. ინფორმაციისათვის მივმართე ისევ ა. მიქოიანს, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა.

–მაგიდაზე რამდენჯერმე მოიტანეს, – მითხრა მან, – გულდასმით გავსინჯეთ და დავრწმუნდით, რომ ევროპულად დაყენებული ქართული სამარკო ღვინო ბევრად უფრო ხალისიანი ნაზი და სასიამოვნო ყოფილა.

როგორც ვთქვი, სტალინს „თელიანის“ მარკის ღვინო მოსწონდა. იგი ცნობილი ფრანგული ჯიშის ვაზის, კაბერნეს, ყურძნისაგან მზადდება. კაბერნე მხოლოდ წინანდლის მიკრორაიონებში იძლევა მაღალხარისხიან ღვინოს.სხვაგან მისი ღვინო ხარისხით არ გამოირჩევა.

ერთხელ, თუ არ ვცდები, 1944 წლის გაზაფხულზე, სტალინი შემეკითხა:

–რა რაოდენობით უშვებთ ყოველწლიურად „თელიანს„?

–ორ–სამ ათას დეკალიტრამდე, – ვუპასუხე.

–ჩვენი ბაზრისათვის ეს წვეთია ზღვაში. არ შეიძლება მეტი გააშენოთ ის ფრანგული ვაზი, რომ ხალხს ასეთი შესანიშნავი ღვინო მეტი მივაწოდოთ? მე ყოველთვის ვფიქრობ, არაყი კარგმა სუფრის ღვინოებმა უნდა დაძლიონ.

–სწორია, ამხანაგო სტალინ, მაგრამ „თელიანის“ მომცემი ვენახების გაფართოება არ მოხერხდება.

–რატომ?

ჩემი პასუხის დასასაბუთებლად ზემოთ მოტანილი არგუმენტები მოვიშველიე და დავძინე:

–არათუ გაფართოება, ჩვენი საზრუნავი ახლა ისაა, რომ თელიანის ზვარი შევინარჩუნოთ. ამ ძვირფას ნაკვეთს წალეკვით ემუქრება მდინარე კისისხევი. დიდი წვიმიანობის დროს მისი განიერი კალაპოტი ივსება ღვარცოფით, რომელიც დამცავ ნაგებობებს მძიმე მდგომარეობაში აყენებს. ნაპირებს ვამაგრებთ, მაგრამ იმის გარანტია მაინც არ არის, რომ თელიანის ნაკვეთი მდინარის შემოტევას ყოველთვის დაუზიანებლად გადაურჩება.

– არ გქონიათ კარგად საქმე, – თქვა სტალინმა და იმ საღამოს თელიანზე სიტყვა აღარ ჩამოუგდია.

საუბარი სტალინისგან ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობის გამოვლინებად ჩავთვალე და რაიმე სპეციალური ღონისძიება თელიანის ნაკვეთის დასაცავად და, მით უმეტეს, კაბერნეს ნარგავების გასაფართოებლად არ გაგვიტარებია.

1946 წლის დეკემბერია. ომი კარგა ხნის დამთავრებულია. ცხოვრება და სამეურნეო მშენებლობა ნორმალურ კალაპოტში დგება. საქმეებზე მოსკოვში ჩასულს სტალინთან შესახვერად აგარაკზე მიწვევენ. სტალინი პოლიტბიუროს რამდენიმე წევრის მონაწილეობით ჩემგან დაყენებულ საკითხებს იხილავს. შემდეგ კი ჩვეულებრივად მაგიდასთან გვეპატიჟებიან.

ვახშმის დროს სტალინი მოულოდნელად კაბერნეს საკითხს უბრუნდება და ნახევრად ხუმრობის კილოთი მეკითხება:

–წაიღო თელიანის ნაკვეთი წყალმა თუ ისევ ადგილზეა?

კითხვამ ორი წლის წინანდელი საუბარი გამახსენა და თან გამაკვირვა: ნუთუ ამ კაცს, რომელსაც ომის დროს და ომის შემდეგაც თავს იმდენი საზრუნავი ეყარა, ის უმნიშვნელო საუბარი დაამახსოვრდა?

–თელიანს რა უნდა მოსვლოდა, ამხანაგო სტალინ, ის კვლავ თავის ადგილზეა, – ვუპასუხე.

–იმიტომ გეკითხებით, – განაგრძო სტალინმა, – რომ თქვენ ერთხელ თქვით, შეიძლება ეს ვენახი იქვე ჩამდინარე ხევმა წალეკოს და თელიანის მარკის ღვინო აღარ გვექნებაო.

მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ 1944 წლის საუბრის დროს სტალინს ამ შინაარსის შეკითხვაზე დადებითად ვუპასუხე.

–არა, ამხანაგო სტალინ, თელიანს წყალს არ გავატანთ. მას ბეტონის კედლით ვზღუდავთ და საიმედოდ ვიცავთ.

–იცავთ, ალბათ, მაგრამ რატომ ამ ერთ ნაკვეთს შესჩერებიხართ და კაბერნეს ვენახებს არ აფართოებთ? რატომ ასე ბრმად გჯერათ საუფლისწული უწყების სპეციალისტების აზრის სისწორე? თვითონ თელიანის ნაკვეთის გარშემო ხომ არის მიწის ფართობები, განა იქ იგივე ნიადაგი არ იქნება?! საერთოდ, ჩვენი მუშაკები ცდილობენ ზოგჯერ დოგმებს ამოეფარონ. ასე ცხოვრება უფრო იოლია. თელიანის წარმოების გადიდება, შეიძლება, არც ისე მნიშვნელოვანი პრობლემა იყოს, მაგრამ დიდ საკითხებშიც ვხვდებით ამგვარ მიდგომებს. უნდა მოვიშოროთ ყოველგვარი „განმტკიცებული“ ჭეშმარიტების წინაშე ქედის მოხრის სენი, ისე წინ ვერ წავალთ. თქვენ კი გირჩევთ, – დააბოლოვა სტალინმა თავისი შეგონება, – თელიანში და მის მიდამოებში გამოძებნოთ შესაფერი ფართობები და გააშენოთ კაბერნეს ჯიშის ახალი ზვრები. მოელაპარაკეთ კვების სახალხო კომისარიატს და შეუდექით ამ საქმეს. ნახავთ, რომ თელიანის მარკის ღვინის წარმოება საქართველოში შესაძლებელია ბევრად გაიზარდოს.

სათქმელი არაფერი მქონდა, არგუმენტები ანგარიშგასაწევი იყო.

სტალინი ყოველთვის კონკრეტულ და ნათელ დავალებებს იძლეოდა, მაგრამ მას ერთი ჩვეულებაც ჰქონდა: ზოგჯერ ამა თუ იმ აზრს მსჯელობის საგნად გახდიდა, სხვებსაც მოუსმენდა და შემდეგ დასკვნას გააკეთებდა, ოღონდ პირდაპირ არ გეტყოდა, რომ მიღებული დასკვნა სავალდებულოდ და განსახორციელებლად მიაჩნდა. პირველ ხანებში ეს გარემოება გაურკვეველ მდგომარეობაში მაყენებდა. მალე კი დავრწმუნდი, რომ თუ საქმე პრაქტიკული ხასიათისა იყო, სტალინი ამ შემთხვევაშიაც სიტყვას ბანზე არ აგიგდებდა: კარგა ხნის შემდეგ გკითხავდა, ამა და ამ საკითხზე რომ ვისაუბრეთ, იმის გამო ზომები თუ მიიღეთო. ეს „კარგა ხანი“ ზოგჯერ წელიწადი და მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ამიტომაც სტალინის ამგვარ წინადადებებსაც ადგილზე გულმოდგინედ ვსწავლობდით, მეტწილად ვახორციელებდით, ხოლო ზოგჯერ, თუ ეს არ ხერხდებოდა ან მიზანშეწონილი არ იყო, მორიგი შეხვედრისას ამასაც მოვახსენებდი.

სტალინმა კარგად იცოდა, რომ საქართველოში ბევრი სამეურნეო მნიშვნელობის ვაზის ჯიშია გავრცელებული. მისთვის ისიც ცნობილი იყო, რომ კახეთში ძირითადად კახური ჯიშებია კულტურაში, ქართლში

→

ქართული ღვინის ხარისხზე ზრუნვა

← – ქართლური, იმერეთში – იმერული, რაჭაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, გურიაში – ჯიშები, რომლებიც ნახევრადტკბილ ღვინოებს იძლევიან.

–მე არ მჯერა, – თქვა ერთი შეხვედრისას სტალინმა, – რომ ვაზის ჯიშების ასე მკაცრი დარაიონება გამართლებული იყოს. თუ ევროპული ვაზები ხეირობს კახეთში, ქართლში, ნუთუ დასავლეთ ქართული საუკეთესო ჯიშების აღმოსავლეთ რაიონებში გადმოტანა შედეგს არ მოგვცემს?

მე გადმოვალაგე მთელი ჩემი წიგნური საბუთები იმის შესახებ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ქართლის, ვაზის მასობრივი ჯიშები პირველი და მეორე პერიოდების სიმწიფისანი არიან, კახეთში – მესამისა. ამიტომ ყურძენი შედარებით მოკლე სავეგეტაციო პერიოდში ასწრებს მოსვლას, დასავლეთ საქართველოში კი ვეგეტაციის ხანგრძლივობა უფრო დიდია, ყურძენს ერთი თვით, ექვსი კვირით გვიან კრეფენ. ეს დარაიონება თავისთავად, ბუნებრივად მოხდა. მევენახეობის საცდელი ნაკვეთების მონაცემებიც იმას მოწმობენ, რომ სხვა რაიონებში გადატანილი ჯიშები დაბალ მოსავალს იძლევიან – მათგან მიღებული ღვინოც არ არის ისეთი ღირსების, როგორც ძირითად რაიონებში.

ეს ყველაფერი თეორია, – მიპასუხა სტალინმა, – საცდელი ნაკვეთების მცირე მასშტაბის გამო მათი მონაცემებიც საბოლოო დასკვნის გამოსატანად საკმარისი არ არის. მიმაჩნია, რომ თქვენ ფართო საწარმოო ცდა უნდა ჩაატროთ. დარგეთ გადმოტანილი ჯიშები 2–3–10 ჰექტარზე თითო რაიონში. განა ცუდი იქნება, რომ „ხვანჭკარა“, „ოჯალეთში“, „ჩხავერი“ აღმოსავლეთ საქართველოშიც ვაწარმოოთ? საბჭოთა მომხმარებელი ხომ ეძებს ამ ღვინოებს მოსკოვში, ლენინგრადში, სხვა ქალაქებში, მაგრამ ვერ შოულობს. თქვენს ადგილას თეორიებს კი არ ამოვეფარებოდი, ფართო ცდებს მოვაწყობდი, იქნებ გაამართლოს.

ვეჭვობ, ამხანაგო სტალინ, რომ ამ ცდამ გაამართლოს. სხვადასხვა მიკრორაიონში ერთი და იგივე ჯიშიც კი სხვადასხვა ხარისხის ღვინოს იძლევა. ეს მეღვინეობაში მტკიცედ დადგენილი ჭეშმარიტებაა. ალექსანდროული აღმოსავლეთ საქართველოში „ხვანჭკარას“ არ მოგვცემს, საფერავიდან დასავლეთ საქართველოში „მუკუზანი“ არ გამოვა.

ჭეშმარიტებას მექანიკურად ნუ გავიგებთ. ავიღოთ კაბერნე. ეს ფრანგული ჯიში კახეთში მშვენიერ ღვინოს იძლევა. იქნებ კახეთშიაც მოიძებნოს მიკრორაიონი, სადაც ალექსანდროული კარგად იხარებს, კარგ ღვინოსაც მოგვცემს. გიცდიათ? არა, არ გიცდით. თქვენი თოერიით, ვაზის ჯიშების ერთი რაიონიდან მეორეში გადატანა არ შეიძლება. ასე რომ იყოს, ჩვენ არც კაბერნე გვექნებოდა, არც ალიგოტე – თქვენ ამბობთ ქართლში კარგ ღვინოს იძლევაო, – არც მუსკატი, რომლისგანაც ყირიმში შესანიშნავი ღვინო დგება. პრაქტიკით უნდა შემოწმდეს, იხარებს თუ არა ესა თუ ის ვაზი სხვა რაიონში და მოგვცემს თუ არა იმ ჯიშის შესაფერის ღვინოს.

არაფერი მეთქმოდა. ასეთი ცდა ჩვენი მიწათმოქმედების ორგანოებს, მართლაც, არ ჩაუტარებიათ. სტალინის მოთხოვნა სამართლიანი იყო და მეც აღვუთქვი, რომ უკვე იმავე წლის შემოდგომიდან ვაზის ჯიშებს მათთვის ახალ რაიონებში საცდელად დავრგავდით.

თუმცა ამ ცდების წამოწყება შეცდომად არ მიმაჩნდა, მაინც ვფიქრობდი, რომ უსახელოურის, ოჯალეშის, ჩხავერის აღმოსავლეთ საქართველოში, მეტადრე კახეთში, შემოტანა არაფერს მოგვცემდა. მსოფლიოში განთქმული კახური ვაზის ჯიშების ყურძნისაგან სუფრის ღვინოებთან ერთად, თუ მოვისურვებთ, ნახევრადტკბილი ღვინოების მიღებაც შეიძლება, მაგრამ არის კი ეს საჭირო? განა მიზანშეწონილია, რომ, მაგალითად, საფერავის მოსავალი, ისტორიულად ჩამოყალიბებული „ქინძმარაულის“ გარდა, სხვა ნახევრადტკბილი ღვინოების დასამზადებლად იხარჯებოდეს? კახეთი უბადლო სუფრის ღვინოების მხარეა და ასეთ მხარედ უნდა დარჩეს.

–ეს ყველაფერი არ არის, – განაგრძო სტალინმა, – თქვენთან კულტურაში ძალიან ბევრი ჯიშია. ეს მრავალფეროვნება ბოტანიკისათვის კარგია, მაგრამ მეურნეობისათვის არ არის მისაღები. მხოლოდ საუკეთესო სამრეწველო ჯიშებს უნდა აშენებდეთ. მეღვინეობაში ხარისხია გადამწყვეტი. უჯიშო ვაზი კი ხარისხიან ღვინოს არ მოგცემთ. მე, მაგალითად, მეუბნებიან, რომ ქართლში გავრცელებულია რაღაც ქიწნურა – ჰიბრიდული ჯიში. ღვინო არაფრად ვარგა, ყურძენს მრეწველობა არ ყიდულობს, ვაზს კი ათასეულ ჰექტრობით მიწა უკავია. უნდა შევცვალოთ ეს ჰიბრიდები ხარისხოვანი ვაზით.

–ამხანაგო სტალინ, ქართლის რაიონებში ქიწნურას ნარგაობა საკარმიდამო ნაკვეთებზე აქვთ. გლეხები მის ღვინოს არ წუნობენ. ამავე დროს ვაზი მავნებლებსა და ავადმყოფობებს უძლებს. არც საძირეზე გაშენება სჭირდება, არც მეწამვლა. კოლმეურნეები ჰიბრიდებს ადვილად არ შეელევიან.

–თქვენ ამბობთ, გლეხები ჰიბრიდების ღვინოს არ წუნობენო. გლეხების გემოვნებას მაინცდამაინც ნუ დაუჯერებთ. მახსოვს, ქართლში ღვინოს ზოგიერთი გლეხი არაყს უმატებდა შესამაგრებლად, ზოგი კიდევ სიძელგისაგან თამბაქოსაც შიგ ჩაყრიდა, მაგრამ ეს ხომ ღვინო არ არის. საკარმიდამო ნაკვეთებზეც კულტურული ვენახი უნდა გქონდეს. თქვენ წინასწარ ნუ გადაწყვეტთ, რომ გლეხები ქიწნურას არ დათმობენ. ხელი შეუწყვეთ ტრაქტორებით პლანტაჟის გაკეთებაში, მიეცით სარგავი მასალა და ნახავთ, თუ კოლმეურნე ხარისხოვანი ვაზის გაშენებას არ არჩევს.

–ამხანაგო სტალინ, ტრაქტორებით, საპლანტაჟე გუთნებით, საწვავით დახმარება დაგვჭირდება. ვენახების გაშენების ისედაც დიდი გეგმები გვაქვს. გამოყოფილი რესურსებით ამდენს ვერ შევძლებთ.

–ცხადია, დაგეხმარებით, – შემპირდა სტალინი და მევენახეობაზე საუბარიც მაშინ ამით დამთავრდა.

ომის დროს ვენახები სერიოზულად დაზიანდა; შხამ–ქიმიკატების უქონლობისა და მუშახელის სიმცირის გამო ვაზს მოვლა დააკლდა, ბევრგან ის დასუსტდა და ნაწილობრივ სულ დაიღუპა. უფრო მეტად საკარმიდამო ვენახები დაზარალდნენ. სწორედ იმ ხანებში, როცა სტალინთან ზემოთ მოტანილი საუბარი შედგა, რესპუბლიკაში მევენახეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას ვამზადებდით. სტალინის მოსაზრებები გეგმის პროექტში გავითვალისწინეთ. გეგმა 1946 წლი სოქტომბრის ბოლოს დამტკიცდა. ადრინდელიგეგმებისაგან განსხვავებით, ახლა რაიონებს ვენახების გაშენების დავალება ჯიშების მიხედვითაც მიეცა. გეგმაში შევიდა ზოგიერთი დასავლეთ–ქართული ვაზის ჯიშის აღმოსავლეთ რაიონებში საცდელად გაშენება: 1947–1948 წლებში ჩხავერი აქ უნდა დარგულიყო 45 ჰექტარზე, ოჯალეთში – 25 ჰექტარზე, უსახელაური – 18 ჰექტარზე. ალექსანდროულის ნარგავები კახეთში და ქართლში მანამდისაც იყო.

ცდამ, როგორც ჩანს, შედეგი ვერ გამოიღო.: მეოთხე ხუთწლედის დავალება დასავლური ჯიშების რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში ინტროდუქციის შესახებ არ შეიძლებოდა არ შესრულებულიყო. მიუხედავად ამისა, 50–იანი წლების შუა ხანებისათვის ქართლსა და კახეთში აღირიცხა: ოჯალეთში – სულ 1,97 ჰექტარი , უსახელოური – 0,43, ალექსანდროული 3,58 ჰექტარი. ჩხავერის კვალი აქ უკვ ეაღარ ჩანდა.

ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის ზოგიერთი საკითხი სტალინის აგარაკზე სუფრასთან წამოიჭრებოდა და კიდევაც წყდებოდა. ეს გასაგები უნდა იყოს. იქ მაგიდაზე ქართული ღვინოები იდგა და მარტო ეს გარემოება საკმარისი იყო მათ წარმომავლობაზე, ხარისხზე, სამეურნეო მნიშვნელობაზე საუბრის წამოწყების მიზეზი გამხდარიყო, მაგრამ ამ თვალსაზრისით ჩვენი ღვინოების საკითხი გამონაკლისს არ შეადგენდა. აქ ბევრ, გაცილებით უფრო მნიშვნელოვან პრობლემებზე იყო სჯა–ბაასი.

მკითხველთა საყურადღებოდ!

მოწოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ ,,გვარი და ტრადიციასთან“, მოგვაწოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ **E-mail:vaja39@mail.ru**

ISSN 2449-2280
გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ:
www.dspace.nplg.gov.ge

ჩვენი რეკვიზიტები:

სრულიად საქართველოს გვარის
წინამძღოლთა დარბაზის ფონდი
ს/კ 404953154
ბანკი: ,,რესპუბლიკა“ ბანკი
ა/ა **GE51BR0000010385861378**

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

საკონტაქტო ტელეფონები:
790770871; 593 531 950

სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუიძე
ვაჟა ნადირაშვილი ტელ: 599 90-26-01
თენგიზ მაისურაძე ტელ: 599 97-41-90
მერაბ ლეკვეიშვილი ტელ: 577 41-02-00
ნინო სულამანიძე ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871